



ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ათი წლის წინ რუსეთის მიერ ქართველების დაკავება და დეპორტაცია კონვენციით დაცული უფლებების დარღვევით განხორციელდა

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 20 დეკემბერი

დღეს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ [რუსეთმა 2006 წელს ქართველების კოლექტიური გამკვებით დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია](#). რუსეთმა მოახდინა განმცხადებლების (მათი ნათესავების) დაკავება და განთავსება პოლიციის განყოფილებასა თუ პატიმრობის დაწესებულებებში. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა "თვითნებური და უკანონო" დაკავება წარმოადგენდა არაკუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას. დაკავებულების ნაწილმა შემდგომ რუსეთი თავად დატოვა, ხოლო დანარჩენები დეპორტირებულნი იქნენ. ერთ-ერთი განმცხადებლის, ნინო ძიძავას მეუღლე [დომოდედოვოს აეროპორტში \(მოსკოვი\) შეუძლოდ ყოფნისგან დაეცა და გარდაიცვალა](#), დეპორტაციამდე ცოტა ხნით ადრე. ევროპული სასამართლოს წარმოებაში არსებულ ორ საქმეში 12 ადამიანის ინტერესებს იცავდა [მიდლსექსის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ცენტრი \(EHRAC\)](#), [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან](#) (საია, თბილისი) ერთად.¹

კონტექსტი

საქართველოსა და რუსეთს შორის 2006 წელს დიპლომატიური ურთიერთობების სერიოზულად გაუარესების შედეგად დაიწყო რუსეთში მცხოვრები ქართველების შემოწმება, დაკავება, დაპატიმრება და საბოლოოდ ქვეყნიდან გამკვება. საქმეში "[ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ](#)" 11 მოსარჩელე რუსეთში დაახლოებით 14 წელი ცხოვრობდა; მათ უმრავლესობას რუსეთში მუშაობისა და ცხოვრების მოქმედი ნებართვა

¹ შენიშვნა: ევროპულმა სასამართლომ რუსეთიდან 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის იანვრამდე პერიოდში გამოძევებულ ქართველებთან დაკავშირებით შემდეგი სამი გადაწყვეტილება მიიღო: [ბერძენიშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ](#), [ძიძავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ](#) და [შოიშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ](#). ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, სხვა ექვს საქმესთან ერთად გაერთიანდა საქმესთან [ბერძენიშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ](#). ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ და [ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ](#) საქმეებში განმცხადებლებს წარმოადგენდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული ცენტრი და საია.



გააჩნდა. თერთმეტივე მოსარჩელე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა სხვადასხვა პერიოდში დააკავეს და შემადარწუნებელ პირობებში ამყოფებდნენ: კერძოდ, განმცხადებლებს ბინძურ და გადატვირთულ საკნებში უწყვედ ყოფნა, სადაც არ იყო ცალკე გამოყოფილი ტუალეტი, ფანჯარა და სუფთა ჰაერი; მათ არ მიეწოდებოდათ საკვები და წყალი; არ ჰქონდათ საწოლი; დაკავებულებს “მაიმუნის გალიებში” უწყვედად ყოფნა. მათი დეპორტი დაკავების შემდეგ 4-დან 20 დღემდე ვადაში განხორციელდა.

მეორე საქმე შეეხება განმცხადებლის, ქ-ნ მიძავას მეუღლეს, თენგიზ ტოგონიძეს, რომელიც 2006 წლის ოქტომბერში დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულმა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს შეატყობინა, რომ დაავადებული იყო ასთმით, იგი გადატვირთულ საკანში განათავსეს და არასანიტარულ პირობებში ამყოფებდნენ. თ.ტოგონიძე ციხეში მოინახულა რუსეთში საქართველოს კონსულმა და დაკავებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე მოითხოვა მისი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულებულა. თ.ტოგონიძის დაკავებიდან ორი კვირის შემდეგ იგი ავტობუსით გადაიყვანეს დომოდედოვოს აეროპორტში. მას 8-9 საათი მოუწია მგზავრობა. ავტობუსიდან გადმოსვლისთანავე იგი ძირს დაეცა და გარდაიცვალა. განმცხადებლის მტკიცებით, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა იცოდნენ თ.ტოგონიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არ მიიღეს საჭირო ზომები მისი სიკვდილის თავიდან ასაცილებლად, ხოლო მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა, რაც სიცოცხლის უფლების დარღვევას წარმოადგენს (კონვენციის მე-2 მუხლი). რუსეთის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა განმცხადებლის პოზიციას იმის თაობაზე, რომ თ.ტოგონიძის სიკვდილი განაპირობა მისი პატიმრობის პირობებმა და იმ ფაქტმა, რომ დაკავებულს სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს. აღნიშნულის სანაცვლოდ რუსეთის მთავრობა აცხადებდა, რომ თ.ტოგონიძე მეტადონით მოიწამლა.

სასამართლოს დადგენილება

საქმეზე “ჩოხელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ” მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ რვა მოსარჩელეს გაძევება კანონის დარღვევით მოხდა; სასამართლოს განცხადებით, გაძევება არ განხორციელებულა თითოეული მომჩივნის საქმის “გონივრული და ობიექტური” შეფასების საფუძველზე, რის შედეგადაც დაირღვა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კოლექტიური გაძევების შესახებ აკრძალვა, რომელსაც კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლი ადგენს. ამასთან, მომჩივანთა დაკავება და დაპატიმრება მოხდა თვითნებურად, ხოლო განმცხადებლებს პრაქტიკულად არ მიეცათ საშუალება გაესაჩივრებინათ თავიანთი დაკავების კანონიერება (რაც კონვენციის მე-5 მუხლის (1) და (4) პუნქტების დარღვევას წარმოადგენს).



სასამართლომ მიუთითა 2014 წელს საქმეში [“საქართველო რუსეთის წინააღმდეგ”](#) მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე/*GC*), რომელიც ასევე შეეხება რუსეთიდან ქართველების კოლექტიურ გამეგებას და კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი დასკვნა იმის თაობაზე, რომ:

“პატიმრობის პირობებმა აშკარად მიაყენა ტანჯვა საქართველოს მოქალაქეებს და ის უნდა შეფასდეს როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა”, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

საქმეში [“ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ”](#) მიღებულ საპილოტე გადაწყვეტილებაზე მითითებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებს არ მიუწვდებოდათ ხელი სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე, რათა გაესაჩივრებინათ მათი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა პატიმრობაში, რაც ჩადენილ იქნა კონვენციის მე-13 მუხლის (მე-3 მუხლთან ერთობლიობაში) დარღვევით.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დანარჩენ სამ განმცხადებელთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული დარღვევები არ დაუდგენია, მან განაცხადა: “მისახვედრია, რომ საქართველოს ზოგიერთმა მოქალაქემ რუსეთის ფედერაცია დატოვა გამეგების შესახებ ოფიციალური ორდერის გაცემამდე, ვინაიდან ისინი მოელოდნენ დაკავებას, დაპატიმრებასა და გამეგებას.”

აღნიშულ განმცხადებლებს, დანარჩენ სხვა განმცხადებლებთან ერთად, სასამართლომ კომპენსაციის სახით მიანიჭა 25,000 ევრო (თითოეულს).

[მიძვას საქმესთან](#) დაკავშირებით, მხარეთა არგუმენტებთან ერთად ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე გაითვალისწინა დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტის ანგარიში, რომელიც განმცხადებლის დაკვეთით მომზადდა. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მეუღლის სიკვდილის გარემოებები იყო “უაღრესად შეუსაბამო მეტადონით მოწამვლასთან”, ხოლო რუსეთის ხელისუფლების განმარტება თ.ტოგონიძის სიკვდილთან დაკავშირებით, ქ-ნ მიძვას მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, “არ იყო დამაკმაყოფილებელი ან დამაჯერებელი”. სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ თ.ტოგონიძის სიკვდილთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება იყო “არაეფექტური”, რის საფუძველზეც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) როგორც პროცედურული, ისე მატერიალური დარღვევა. რაც შეეხება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას, სასამართლომ დაადგინა შემდეგი: პატიმრობის პირობები და ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს, თ.ტოგონიძისათვის აღმოეჩინათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება და ეროპორტში გადაიყვანეს ისეთი ტრანსპორტით, რომელსაც ვენტილაცია არ ჰქონდა, იყო “განსაკუთრებით არაადამიანური და დამამცირებელი”, ხოლო ქ-ნ მიძვას არ მიუწვდებოდა ხელი სამართლებრივი დაცვის ეფექტურ



საშუალებაზე (მუხლები 3 და 13). სასამართლომ ქალბატონ მიძავას მიაკუთვნა კომპენსაცია 40,000 ევროს ოდენობით.

“ამ საქმეებით დადგინდა ადამიანის უფლებების გამოუსწორებელი დარღვევის ურიცხვი შემთხვევები, რომელიც მომდინარეობს პირდაპირ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დაკავების, დაპატიმრებისა და გაძევების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს იმას, რომ კოლექტიური გაძევება არასოდეს არის გამართლებული.

თენგიზ ტოგონიძის შემადრწუნებელი მოპყრობა, რომელიც ასთმით იყო დაავადებული, მისი [განთავსება] გადატვირთულ და უჭარბო პირობებში, განსაკუთრებით შოკისმომგვრელია იმის გათვალისწინებით, რომ მას ცხადად ესაჭიროებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. აღნიშნულმა გამოიწვია მისი გარდაცვალება დეპორტაციის დროს.”

პროფესორი ფილიპ ლიჩი, “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის” დირექტორი

სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღო განმცხადებლების და/ან მათი ნათესავების რუსეთიდან გამოძევების ათი წლის თავზე.